ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2598 სამშაბათი, 31 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2598

გაზეთის ღირს.: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

წავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთ წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიის არტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულება: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ა. ვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი ქ. გიგინეიშვილი.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—20)

ი. ჭიჭინაძე უკვე დაიწყო კბილით ავათმყოფთა მიღება.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ლ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლიმსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

მ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ექ. ქალი მ. ძ. იოხელიანი.—ქალისა და სა. სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

ლ. მ. მოხინი.—ქალისა, საზებით და ბავშ- (აცრა ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაო. 11—12 საათამდე.

[illegible].—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლიმსკი.—ხირურგია და ორტოპედია. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან დამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ხაილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ტიპოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—8)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—1-დისა და 5—6-მდის.

კბილის ექიმი
კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—1)

კნიაჟნები ელენე სვიმონის ასული ჩერქეზიშვილისა და ნინო დავითის ასული ოლოყაშვილისა აცხადებენ, რომ მომავალ ენკენისთვის პირველიდან ამ 1904 წ. აიყვანენ ბავშვებს ქ. სიღნაღში გარედან მოსიარულეებს მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებელში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ქ. სიღნაღს, სიღნაღის ნოტარიუსს. (3—287—2)

პანსიონი
ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.

ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—25)

კავკასიის ტიპების ფერად წამლებით
ხატვას ვასწავლი.

თვეში—20 მ. სეანსი 2 საათ.—4 საათ. 1 მ. მოსწავლეთ ½.

ჩუღურეთი. გონჩარნი ქუჩა, სახლი № 28.

(3—1) მოსე თოიძე

ქ. ქუთაისში ივანოვის ქუჩაზე მღვდელი გაბელაშვილის სახლებში გაიღო მშობიარეთა და მელოგინეთა **თავშესაფარი** აკუშერკა ს. ლ. ოქსენგაუტისა. თავშესაფართან მონაწილეობას იღებს როგორც მრჩეველი დოქტორი აკუშერი ა. ა. რელიგიონი. (5—2)

ვღებულობ ბინაზე ჩემის ხარჯით მოსწავლე ქალებს. ადრესი მოიკითხეთ ქუთაისში ბეჟანიშვილის მაღაზიაში. (5—2)

ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსი სტატსკი სოვეტნიკი იპოლიტ კონსტანტინეს ძე ივანოვსკი ამით აცხადებს საყოველთაოდ საცნობლად, რომ მან **გააუქმა რწმუნების ქაღალდი,** მიცემული ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსაგან ამიერ-კავკასიის რკინის გზათათვის მიწის მიმზომელ ყოფილ აგენტის **კონსტანტინე პეტრეს ძე ანდრეევისათვის,** დამოწმებული ტფილისის ნოტარიუს მღებროვთან, 1 მაისს 1902 წ. № 4295. (3—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აგვისტო

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, მისს უდიდებულესობას 27 აგვისტოს: „26 და 27 აგვისტოს მტერთან შეტაკება არ მომხდარა. იაპონელებმა შეაჩერეს მოქმედება. ისევ ძლიერ წვიმს; გზები არა შრება და შეკეთება შეუძლებელია, რასაც უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას".

29 აგვისტო.

კრონშტადტი. ხმელეთის მეციხოვნე ჯარი გადასცემს შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ კონტრ-ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრას ადრესს ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატით.

ლონდონი. იაპონელთა მემარცხენე არმიასთან მყოფი „ტაიმს"-ის კორესპონდენტი ჰფიქრობს, რომ კუროპატკინი უკან დაიწევს ევროპიდან მომავალ მაშველ ჯარისკენ და ალბად დაიჭერს პოზიციას ხარბინის გზაზე. თუ იაპონელთა არმია მუკდენს მიაღწევს, იძულებული იქნება რამდენსამე ხანს დაისვენოს უკანასკნელ 14 დღის განმავლობაში ატანილ საშინელ ჯაფის შემდეგ.

ცინდაო, 28 აგვისტო („რეიტ. სააგ."). ტოკიოში მიმავალ ერთ იაპონელ აფიცრის სიტყვით, იაპონელებს ამ ბოლო დღეებში ერთობ დიდი ზარალი მიაყენეს პორტ-არტურთან, 15 ათასს კაცზე მეტი მოუკლეს და დაუჭრეს. ლიაოიანის ბრძოლაში-კი იაპონელთა ზარალი 20 ათასს კაცს აღემატებაო.

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის" და „მოამბის" წლიური ფასი სრულად არა აქვს გადახდილი, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა, რათა გამოცემათა გზავნა არ შეჩერდეს.

„ცნობის ფურცელი" 1-ლ ენკენისთვიდან წლის დამლევამდის ღირს 2 მან. 60 კ.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

ჩიფუ, 28 აგვისტო („რეიტ. სააგ."). მოვიდა ერთი იაპონელი, რომელიც გუშინ წამოვიდა დალნიდან. ამ იაპონელის სიტყვით, ხმებია, რომ საერთო იერიში, რომელიც დღეისათვის იყო დანიშნული, 31 აგვისტომდისაა გადადებული და შესაძლებელია, რომ კიდევ გადასდონ.

შანჰაი, 28 აგვისტო („რეიტ. სააგ."). „ასკოლდ"-ი გამოვიდა გემთ-საშენებლიდან და დადგა „მანჯურ"-ისა და „გროზოვოი"-ს გვერდით. მეზღვაურნი გემზე დარჩებიან საბაჟოს საკანონირო ნავის ზედამხედველობის ქვეშ.

ლონდონი, 28 აგვისტო (ბერლინში მიღებული ცნობა). ჩიფუდან დეპეშებით იუწყებიან, რომ 18 აგვისტოს ღამე დაინახეს პროჟექტორების საშუალებით იაპონელთა ნაღმიან გემების ფლოტილია. ეს ფლოტილია მოჰყვებოდა ერთ გემს, რომელიც ნაღმებს ისროდა. ზღვის პირის ბატარეებმა ყუმბარები დაუშინეს და დაღუპეს ეს გემი. 25 აგვისტომდის იაპონელებმა ოცდა ცხრა ათას ექვსასი კაცი დაჰკარგეს.

ლონდონი. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი ამბობს რუსების ტაქტიკის შესახებ: რუსების უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ჭარბად ავსებენ ჯარით თავის საგერ პოზიციებს. იაპონელთა ტაქტიკის ერთად-ერთი პრინციპი-კი, როგორც ოკუს უფროსობის ქვეშ მყოფ დივიზიის მოქმედებამ დაამტკიცა, ფრონტზე მიტანილი მედგარი იერიშებია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოკუს მთელ ქვეყანაზე საუკეთესო ქვეითა ჯარი ჰყავს; არა მგონია, რომ რომელსამე სხვა არმიას შეეძლოს ხუთი დღის განმავლობაში ზედიზედ ქვეითა ჯარით 8 უნაყოფო იერიშის მიტანა სიმაგრეთა წინააღმდეგ და მხნეობა მაინც არ დაჰკარგოდესო.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: „ჩვენის ჯარის გასაძლიერებლად შორეულ აღმოსავლეთში საჭიროდ ვცანით, საომარ დროის წეს-რიგზე დაყენებულ იქნას ოდესის სამხედრო ოლქის ჯარი, შეივსოს იგი სხვა ოლქების ჯარით, შესდგეს ზოგიერთი რაზმები ჯარის სპეციალურ ნაწილისა და შეივსოს აწ მომქმედ ჯარის სათადარიგო ნაწილები. ამიტომ ვუბრძანებთ სამხედრო მინისტრს, მოახდინოს ყველა საჭირო განკარგულება. ამასთან ერთად ვბრძანებთ: 1 არსებულ წეს-რიგის თანახმად, გაწვეულ იქმნას სამხედრო სამსახურში საჭირო რიცხვი სათადარიგო ჯარის კაცებისა შემდეგის მაზრებიდან: ოდესის სამხედრო ოლქი: ხერსონის გუბერნია—ხერსონისა, ალექსანდრიისა, ანანიევისა, ელისავეტგრადისა, ოდესისა და ტირასპოლის მაზრებიდან; ბესარაბიის გუბერნია—კიშინევისა, აკკერმანისა, ბენდერისა, და იზმაილის მაზრებიდან; ეკატერინოსლავის გუბერნია—ეკატერინოსლავისა, ალექსანდროვისა, ბახმუტისა, ვერხნედნეპროვისა, მარიუპოლისა, ნოვომოსკოვისა, პავლოგრადისა და სლავიანოსერბსკის მაზრებიდან; ტავრიდის გუბერნია—ბერდიანსკის მაზრიდან. 2. ზოგიერთ ზემო ჩამოთვლილ მაზრებიდან, სათადარიგო ჯარის გაწვევის გარდა, წაყვანილ უნდა იქმნას საჭირო რიცხვი ცხენებისა. 3. გაწვეულ იქმნან იმპერიაში მცხოვრები სათადარიგო ჯარის ის აფიცრები, რომელთაც, მოქმედ წეს-რიგის თანახმად, უნდა შეავსონ ჯარის სხვა-და-სხვა ნაწილები; თუ საჭირო იქნება, გაწვეულ უნდა იქმნან აგრეთვე ის სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომელთაც ჯარში აფიცრებისა და საკლასო თანამდებობანი უნდა შეასრულონ. უმართებულესი სენატი არ დააყოვნებს ამ ბრძანების შესრულებას და შესაფერ განკარგულებას მოახდენს. ნამდვილს მის იმპერატორებითის საკუთარის ხელით აწერია: „**ნიკოლოზი.**" პეტერგოფი, 24 აგვისტო 1904 წელი."

ლიაოიანი, 27 აგვისტო („რეიტ. სააგ."). იაპონიის ჯარში სრული უდისციპლინობაა. გუშინ საღამოთი, როდესაც სალდათები ქალაქს სძარცვავდნენ, არეულობის დროს დაიჭრა შოტლანდიელი მისიონერი.

ლონდონი („რეიტ. სააგ."). იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა: ოიამა იუწყება, რომ 22 და 23 აგვისტოს მომხდარ ბრძოლების შემდეგ იაპონიის ჯარმა დაიჭირა იანტაის ქვა-ნახშირის მღვიმე-მაღაროები და იუმენძის მთა. რუსის ჯარის უმთავრესი ნაწილი ჩრდილოეთის მხარეს მიდის, მდინარე ხუნისკენ. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, რომ რუსებმა რკინის გზით 10 ათასი დაჭრილი წაიყვანესო. სამი ათასი მოკლული ჩვენ დავასაფლავეთ. ლიაოიანიდან წასვლის წინ რუსებმა ცეცხლი წაუკიდეს საწყობებს რკინის გზის სადგურის მახლობლად".

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 28 აგვისტოს: „28 აგვისტოს არავითარი ბრძოლა არ მომხდარა, მოხდა მხოლოდ მცირე შეტაკებები ჩვენსა და იაპონელ მზვერავებს შორის. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას".

30 აგვისტო

ჩიფუ, 28 აგვისტო. პორტ-არტურთან მომხდარ უკანასკნელ ბრძოლების დროს იაპონელებმა აიღეს ოთხი სიმაგრე, მაგრამ იძულებულნი გახდნენ ამ სიმაგრებისთვის თავი მიენებებინათ. რუსებმა ხელ-ახლა დასდგეს ზარბაზნები ამ სიმაგრეებში და ემზადებოდნენ შემდეგ იერიშის მოსაგერიებლად.

ტოკიო, 29 აგვისტო („რეიტ. სააგ."). როგორც იაპონიის ჯარის უფროს ექიმის მოხსენებიდანა სჩანს, 13 აგვისტოდან დაწყებული ლიაოიანთან იაპონიის ჯარში მოკლული და დაჭრილა 17,539 კაცი. ამ რიცხვიდან კუროკის ჯარს დაუკარგავს 4,866 კაცი, ნოძუს—4,992 კაცი და ოკუს—7,6 კაცი. აფიცერი მოუკლავთ 136 და ჭრიათ 464 კაცი.

(დამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ბერლინერ ლ
ცაიგერ"-ის კორესპონდენტი სწ
ჯარმა ლიაოიანიდან ჯერ სად
დე დაიხია და მერე აქედან
გაემართა. გზა-და-გზა ბევრი
ნის ლეში ეყარა და ჰაერი
იყო.

„ნოვოე ვრემია"-ს კ
წყება მუკდენიდან: 2
ჯარის ქარავანი და არ
სხვა-და-სხვა გზით მუ
სის უმთავრესი ჯარი
პონელებს აჩერებს.
გასცდა და ჩრდილ
პონელები ფეხდ
უკანა რაზმებს
წესსა და რიგზე
წვიმამ გზები
ბის უმთ

აც შეძლება, მალე მუკდენს მივიდნენ. იაპონელებს, ეტყობა, ჯარი და მეტადრე არტილერია, მეტი ჰყავთ რუსებზე. მუკდენიდან 20 ვერსის მანძილზე ზარბაზნის სროლა ისმის. დღესაც მოღრუბლულია, ჰაერიც შეიხუთა; ალბად, კიდევ წვიმასა და ჭექა-ქუხილს აპირობს. („ნ. ვ.“).

მუკდენიდან 24 აგვისტოს დეპეშით ატყობინებენ „რუს“-ს: იაპონელები მუკდენს 40 ვერსის მანძილზე მოუახლოვდნენ. ამიტომ რუსები მუკდენს საჩქაროდ სცლიან. ცენზორები მუკდენიდან ხარბინში მიდიან. („რ.“).

„დეილი ნიუს“-ი სწერს: გენ. კუროპატკინი მუკდენში აღარ დადგება და ხარბინისაკენ წაიყვანს თავის ჯარსაო. („ბ. ვ.“).

გერმანული გაზ. „ლოკალ ანცაიგერ“-ი სწერს: მცოდნე სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, რუსის ჯარი ვიდრე ტელინამდე წინააღმდეგობას აღარ გაუწევს იაპონელებსაო. ტელინი 60 ვერსტის მანძილზე მდებარეობს მუკდენიდან, ჩრდილოეთ მხარე, რკინის გზის პირად. ტელინში რუსებს ბევრი სამხედრო სამზადისი აქვთ დამზადებულიო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ს ატყობინებენ პარიზიდან: ხარბინში ყველა სახლში სულ დაჭრილები წვანან; ქალაქს გარშემო რუსის ჯარისათვის ყაზარმებს აშენებენო. („რ. ვ.“).

„სენტრალ ნიუს“-ი იუწყება: 25 აგვისტოს ტოკიოში მინისტრთა საბჭო შეიყარა სათათბიროდ. თათბირში მთავარ შტაბის უმაღლესმა წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობაო. („მ. ვ.“).

ნიუ-იორკიდან ამბავი მოსულა ლონდონში, რუსეთმა დიდ-ძალი გემი შეუკვეთა ამერიკის მეგემეთა ტრესტსაო (საზოგადოებასაო). ამერიკიდან ამ საქმის თაობაზე მოსალაპარაკებლად ტრესტის დირექტორი ნიკსონი იყო გაგზავნილი რუსეთს. ნიკსონი ამბობს, რუსეთს დიდ-ძალი გემი სჭირდება და იქნება ამის შემწეობით, ჩვენმა ტრესტმა თავისი მოქმედება ისევ გააძლიეროს და კარგი ფული მოიგოსო. ინგლისს რუსეთისა არც ერთის გემის აშენება არ შეუკვეთა, რადგან ინგლისი მტრულის თვალით უყურებს რუსეთსაო. („მ. ვ.“).

დიდი ბრძოლა ლიაოიანთან. „ლოკალ ანცაიგერ“-ი სწერს: რაკი გენ. კუროკი ტაიძიხეს გაღმა გავიდა და რუსის ჯარს უვლო, გენ. კუროპატკინმა ლიაოიანში მხოლოდ უკანა ჯარი დასტოვა და თითონ დანარჩენის არმიით იანტაისაკენ წავიდა. ამ უკან დახევის დროს რუსის ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა. მალე გენ. კუროკიმ რუსის ჯარს ზურგიდან დაცემა დაუპირა, ამიტომ გენ. კუროპატკინი იძულებული იყო, სამის კორპუსით გენ. კუროკის დასცემოდა. რუსებმა ბევრი ზარბაზანი დასტოვეს ლიაოიანში. რუსებიცა და იაპონელებიც საშინლად მოქანცა ხანგრძლივმა ბრძოლამ და უძილობამ. წვიმებმა ისე გაათხრეს გზები, რომ ზარბაზნის ტარება შეუძლე-
ელი იყო. 21 აგვისტოს საღამოს რუსების
ნა ჯარიც იძულებული იყო, თავისი პო-
ბი მიეტოვებინა და წყალ გაღმა გა-
. 22 აგვისტოს ტაიძიხეს მარცხენა
ერთი რუსი აღარ იპოვებოდა.
ა იაპონელებს ამ ბრძოლის დროს,
რთად, 50 ათასი კაცი დააკლდე-
ლული და დაჭრილიო. („რ. ვ.“).
რ ტაგებლატ“-ის კორესპონ-
ა: იაპონელებმა ლიაოიანთან
სტოს) დღეს გაიმარჯვეს
ლემა და ნოძუმ რუსის
მეტუნსა და ხსილიტუნს
ართვეს და უკან ლია-
ეს; ამავე დროს გენ.
ძიხეზე ორი პონტო-
ო სარეზერვო ბრი-
და ჩრდილოეთისაკენ

აწერილია რუსის
ა და მდ. ტაიძი-
რის, ნათქვამია,
თ მდინარეშიო.
ერთად მოა-
მდვილი ხიდი
მ ცხენების
ინდომეს.
ირლია,

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროპატკინმა განზრახ არ დაუშალა გენ. კუროკის ტაიძიხეში გასვლა. იმედი ჰქონდა, კუროკის ზურგიდან დავეცემი და დავამარცხებო. („ნ.“).

ფრანგული გაზ. „პტი პარიზიენ“-ი სწერს: ლიაოიანთან ხუთის დღის ბრძოლის დროს პირველ ციმბირის კორპუსს დიდი ზარალი მოუვიდა. ამ კორპუსის უფროსს ბარონ შტაკელბერგს ბრძანება მოუვიდა, უკან დაიხიეთ თქვენ კორპუსსაო. ბარონმა ბრძანება სწორედ ვერ გაიგო და იმის მაგივრად რომ აღმოსავლეთისაკენ წასულიყო რუსის უმთავრეს ჯართან, შეცდომით დასავლეთისაკენ წავიდა. ამიტომ რუსებს შეეშინდათ, გენ. ოკუს არმიამ გზა არ მოუჭრას ბარონ შტაკელბერგის კორპუსსაო. („რ. ვ.“).

„ეკო დე პარი“ იუწყება: 19 აგვისტოს საღამოს 6 საათზე კუროკის არმიის ბატარეიდან გამოსროლილი ყუმბარა რუსის სატელეგრაფო ვაგონს მოჰხვდა. ეს ვაგონი გენ. კუროპატკინის ბატარეებზე იყო გამობმული. ტელეგრაფისტები შიშისაგან აქეთ-იქით გაიქცნენ; ტელეგრაფის აპარატები სულ ერთიანად მილეწ-მოლეწა ყუმბარამ. ირკუტსკის (ციმბირშია, პეტერბურგის გზაზე) ტელეგრაფის სადგური შეეკითხა ლიაოიანის სადგურს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო; მუკდენიდანა და ხარბინიდანაც დაუწყეს ლაპარაკი, მაგრამ ვერც ამათ მიიღეს პასუხი. ამიტომ რუსეთში ხმა გავრცელდა, იაპონელებმა ტელეგრაფი გასწყვიტეს და რუსის ჯარს გზა მოუჭრესო. მაგრამ ვაგონში ხელად ახალი აპარატები დადგეს, თითონ ვაგონი ლიაოიანიდან 8 ვერსზე წასწიეს ჩრდილოეთისაკენ და ტელეგრაფი აღადგინეს. ვაგონის ტელეგრაფის უფროსი ვისე დღემდე მაინც არსადა სჩანს. („ნ.“).

იტალიური გაზ. „ჯიორნალე დიტალია სწერს: ლიაოიანთან რუსები და იაპონელები შეუსვენებლივ სრულ ორ კვირას იბრძოდნენ. ჯერ ასეთი მაგალითი ისტორიაში არა ყოფილა. იაპონელებისა და რუსების საკვირველ მამაცობას ქება არა სჭირიაო. („მ. ვ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ი სწერს ლიაოიანის ბრძოლის თაობაზე: მართალია იაპონელებმა ლიაოიანთან წრე ვერ შემოავლეს გენ. კუროპატკინს და რუსის ჯარი ვერ დაატყვევეს, მაგრამ ვერც გენ. კუროპატკინმა მოახერხა დროზე უკან დახევა და მუკდენისაკენ თავის ჯარის წესიერად წაყვანა. იაპონელებმა ზოგიერთი პოზიცია ძალ-დაძალ წაართვეს რუსებს; ამის შემდეგ რუსის ჯარი აირ-დაირია და უწეს-რიგოდ უკან დაიხიაო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: ლიაოიანის ბრძოლამ რუსეთს სახელი გაუტეხა და რუსის გავლენა შორეულ-აღმოსავლეთში გაანადგურა. სანამ რუსეთი ახალ ჯარს გადაიყვანს და ღონეს მოიკრებს, იაპონია ნამდვილად გაბატონდება სამხრეთ მანჯურიასა და კორეიაში. ცხადია, აღმოსავლეთში ახალი დიდი, ძლიერი სახელმწიფო (იაპონია) გაჩნდა.

„სენტრალ ნიუსის სააგენტო“ იუწყება: ლიაოიანს აღებამ მეტად გაახარა იაპონიის ხალხი. ყველგან მანიფესტაციები გაიმართა. ქალაქები ფეროვან ფანრებითა და ბაირაღებით მორთეს. ქუჩებში დიდძალი ხალხი დადიოდა და „ბანზაის“ ყვიროდა. გავლენიანი გაზეთები სწერენ, მანამდე ვიომოთ, სანამ რუსეთი იაპონიის ყველა მოთხოვნილებას არ შეასრულებსო. („რ. ს.“).

პორტ-არტური. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის საგანგებო კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: გენ. ნოგის არმია თან და თან უფრო და უფრო უახლოვდება პორტ-არტურს. ამ ჟამად იაპონელებს პორტ-არტურთან 600-მდე ზარბაზანი უდგათო. („ნ. დ.“).

„რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ ჩიფუდან: იაპონელებმა ორი ჩინელი ჯაშუში დაიჭირეს პორტ-არტურთან, ერთი შუშიანში, მეორე პალუჩანში. ეს ჯაშუშები გენ. სტესელს უზიდავდნენ ამბებსაო. („რ. ს.“).

ხმა რუსეთისა და იაპონიის შერიგებაზე. ამ ბოლოს დროს ხმა გავრცელდა, ვითომ ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა რუსეთისა და იაპონიის შერიგებას აპირებდნენო. მალე გავიგებთ, გამართლდება ეს ხმა, თუ არა, მაგრამ თითონ იაპონიისა და რუსეთს-კი, ეტყობა, მორიგება ფიქრადაც არ მოსდით. იაპონიის საელჩოს მდივანს ნაგაოკას პარიზში გაზ. „ტან“-ის თანამშრომლისათვის უთქვამს საუბრის დროს: იაპონიის ჯარი იმიტომ იმარჯვებს, რომ ჩვენი ოფიცრები და სალდათები სჯობიან რუსისასაო. გენ. კუროპატკინი მუკდენში ჯარს ვერ დააყენებს, უსათუოდ ხარბინს უნდა წაიყვანოს. იაპონელები მერე, ალბად, ზამთრის შემდეგ, გაზაფხულის პირზე, ხარბინამდე ავლენ, იქ დიდი ბრძოლა მოხდება და საქმე საბოლოოდ გადასწყდებაო. ამდენ გამარჯვების შემდეგ იაპონია პირველი არას დროს არ მოინდომებს შერიგებას. ჩვენ სამის წლის ომისათვის მოვემზადენითო.

ამის შემდეგ „ტან“-ის თანამშრომელს ერთ მცოდნე, დიპლომატიურ საქმეებში ჩახედულ რუსთანაც უსაუბრნია ამავე საგანზე. რუსს უთქვამს: რუსეთიც არის დროს არ ჩამოაგდებს პირველი მორიგებაზე მოლაპარაკებასაო; არც სხვისა შუამავლობას დასთანხმდება, გინდ ეს შუამავლობა რუსეთის მეგობარმა და თანამგრძნობმა სახელმწიფომაც იკისროსო; რუსეთის მთავრობა მტკიცედ ადგია ამ აზრსაო. („რ. ვ.“).

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სიას:

13-დან 18 აგვისტომდე მოკლულ იქნა: პოდპოლკოვნიკი ხნამეროვსკი, კაპიტნები — პერებასკინი და რუდაკოვი, შტაბს-კაპიტნები — ივანოვი, სამოილოვი, ელისეევი, ვოინილოვიჩი და მიხაილოვი, პოდპორუჩიკი გორბოვსკი-ზარანეკი; დაიჭრნენ: საგენერალო შტაბის გენერალ-მაიორი ორლოვი, პოლკოვნიკი ოზერსკი; პოდპოლკოვნიკი კოზიცკი, კაპიტნები — დვორაკოვსკი, ტულინცევი, ლუჩანოვსკი და ლევკოვიჩი, შტაბს-კაპიტნები — ტიხონოვი, ბერნშტეინი, ივაშკევიჩი, კულიკოვსკი, სოკოლისი, ვროჩენსკი და ზავაცკი, პორუჩიკები — კობზევი, გროსსი, ვიდრინი და ლაიმინგი, პოდპორუჩიკები — კრივცინი, ჩურევი, არხონცევი, კობილეცკი და ტრეტიაკოვი, [illegible] — ალტუხოვი და დლიანტი მიხეილი, ტეხნიკოსი ბატეევი; გაიკაწრნენ: პოდპოლკოვნიკები — პოდიმოვი და ოსტროვსკი, კაპიტნები — სანიცკი და გორბუნცოვი, შტაბს-კაპიტნები — ნაზაროვსკი, გროდსკი, ჩერეპანოვი, ჩეკოტოვსკი და კრუპატკინი, პორუჩიკები სპერანსკი, პოდპორუჩიკები — პეზბოროდოვი და პოპოვიჩი, პრაპორშჩიკი კისელი და მღვდელი შაველსკი; ბრძოლის ველზე დარჩა პრაპორშჩიკი დეგენი.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 31 აგვისტოს, ქართულ თეატრის დარბაზში დანიშნულია კრება ამხანაგობისა, რომელიც დაარსდა **ქართულ წარმოდგენების** გასამართავად. განსახილველია შემდეგი საგნები: 1. განხილვა და დამტკიცება საამხანაგო ხელშეკრულებისა; 2. განხილვა და დამტკიცება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა; 3. არჩევა კომიტეტის 5 წევრისა; 4. არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და 5. არჩევა სარეპერტუარო კომისიისა (სამი კაცი). კრება საღამოს რვა საათზე დაიწყება.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, 26 აგვისტომდე **იმიერ-კასპიის ოლქში ხოლერით** 69 კაცი გამხდარა ავად. აქედან 32 კაცი მომკვდარა.

◆ როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, ბაქოში უკვე რამდენიმე **კაცი გამხდარა ხოლერით** ავად. პირველად ავად გამხდარან და გარდაცვლილან საბლინები, მამა, დედა და ორი ბავშვი; შემდეგ ერთი სპარსელი გამხდარა ავად და გარდაცვლილა კიდეც. ამ ჟამად ავად არის ერთი სპარსელი და იმისი 10 წლის ქალი. ორივე საავადმყოფოშია.

◆ ამ დღეებში ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწემ რ. დ. მაჭავარიანმა მოიარა ტფილისის მაზრის სოფლები უჯარმა, პატარძეული და საგარეჯო, სადაც სხვა-და-სხვა **გადამდები სენი მძვინვარებდა**. პატარძეულში ყოფილა თურმე მკითხავი, ნარიმანაშვილის ქვრივი, რომელიც დიდძალ ფულს იღებს მკითხაობით. მკითხავს ნიხრიცკი დაუწესებია: შეძლებულებს ახდევინებს 1 მან. 50 კაპ., საშუალო შეძლებისას 1 მან. და ღარიბებს 50 კაპ. ექიმს მაჭავარიანს ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და შეუტყობინებია ადგილობრივ პოლიციისათვის, რომელსაც ოქმი შეუდგენია და გადაუცია, სადაც ჯერ არს, მკითხავის პასუხის გებაში მისაცემად.

◆ 28 აგვისტოს კოჯრიდან დაბრუნდა კავკასიის **მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ა. ა. ფრეზე**. აგარაკიდან საბოლოოდ გადმოვიდა აგრეთვე მთავარ-მართებლისა და კავკასიის სამხედრო შტაბის კანცელარიები.

◆ „**ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**“ გამგეობამ კავკავის სკოლის მასწავლებლად დანიშნა ბ-ნი კობიაშვილი, ხოლო ბორჩალოს მაზრის სოფელ კალამშის სკოლის მასწავლებლად — ბ-ნი წილოსანი.

◆ კვირას, 29 აგვისტოს, მოხდა კრება **ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა**. ამხანაგობამ მთელი კრება მოანდომა ერთის საგნის განხილვას. წარსულ კრებაზე გამგეობას დაავალეს ამხანაგობის ხარჯის შემცირება, რადგან ამ ბოლო დროს შემოსავალმა იკლო. გამგეობამ კრებას აცნობა, რომ შეიძლება ხარჯის შემცირება მხოლოდ 60 მანეთით, თუ ჩვენს მაღაზიაში მოსწავლეებისა და „აბოიშჩიკის“ ადგილს გავაუქმებთო. კრებამ მიიღო გამგეობის წინადადება „ობოიშჩიკის“ თანამდებობის გაუქმების შესახებ. კრება პირობით შეეკრა წევრს რუსიშვილს, რომელმაც სიით უნდა ჩაიბაროს ამხანაგობის მაღაზია და მიიღოს ხოლმე შეკვეთილი საქმეები. რუსიშვილს სასყიდელი არ მიეცემა, რადგან იგი მუქთად ისარგებლებს ამხანაგობის მაღაზიით და თავის ვაჭრობასაც მოაწყობს. კრებამ გამგეობის ერთის წევრის არჩევანი და ნახევარ წლის ანგარიშის განხილვა 5 სექტემბრისათვის გადასდო.

◆ მოგვივიდა ახალი წიგნი „**დანიელ ჭონქაძე და მისი დრო**“, თხზ. ფილიპე მახარაძისა. წიგნი შეიცავს 126 გვერდს და ღირს ორ აბაზად.

◆ 2 სექტემბრისათვის დანიშნულია კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა, რომელთაც უნდა განიხილონ საგუბერნიო მთავრობის მოწერილობა მოქალაქეთა ხარჯით სასწავლებლის დაარსების შესახებ.

◆ 29 აგვისტოს, პოლიციის მე-10 ნაწილში მოვიდნენ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი სპირიდონ შუბლაძე და გაბრიელ კაკაძე და განაცხადეს, ავჭალის ქუჩაზე ჩვენს ბინაზე, დღეს, ჩვენ შინ არ ყოფნის დროს მოგვპარეს ფულად 44 მან. და სხვა-და-სხვა ნივთებიო. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს შორაპნის მაზრის სოფელ მუხურის მცხოვრებს პავლე ქვავ-ძეზე, რომელიც სადღაც დამალულა.

◆ პოლიციის 1 ნაწილში ტფილისის მოქალაქის გიორგი ბაშინჯაღოვის სახლის შენების დროს, 28 აგვისტოს, ჩამონგრეულა მიწა და ქვეშ მოუყოლებია ერთი მუშა, სპარსეთის ქვეშევრდომი, მეაუშა-ცვალი-ოღლი. მუშამ ორივე ფეხები ძალიან დაიშავა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ 29 აგვისტოს, ღამე, პოლიციის მე-10 ნაწილში ტფილისის მოქალაქის მარტიროზ ნალბანდიანცის მაღაზია გაუტეხია ევგენი კუტუზოვს და ის იყო დაეწყო ნივთები და უნდა გაეყენებინა გზას, მიასწრეს, დააპატიმრეს და პოლიციას გადასცეს.

◆ 29 აგვისტოს, ნაშუაღამევის 2 საათზე, ფეთხაინის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ქვრივის ეკატერინე ტერ-ოჰანეზოვის სახლს. ცეცხლი უკვე კარგად მოედო სახლს, როცა გაჩნდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც კარგა ხანს ბრძოლის შემდეგ ჩააქრო.

წერა-კითხვის საზოგადოების მიმართ

სწავლა-განათლება ჩვენს ქვეყანაში თან და თან უფრო ვრცელდება; მას უფრო და უფრო აფასებს არა მარტო მაღალი წრეები ჩვენის საზოგადოებისა, არამედ უბრალო მუშებიც, სოფლის გლეხებიც. სწავლისაკენ მისწრაფება უფრო ეტყობა დასავლეთ საქართველოს, იმერეთს, სადაც იშვიათად ნახავთ ისეთს სოფელს, რომ სკოლა არ არსებობდეს. არა იშვიათად ერთს სოფელში ორი და სამი სკოლაცაა; მაგალითად, ლანჩხუთი, რომლის „ქება ბევრგან გვსმენია“ სწავლა-განათლებისაკენ მისწრაფებისათვის. ქართლ-კახელებსაც ეტყობათ სწავლის მიღების სურვილი, მაგრამ ისეთი მძლავრი-კი არა, როგორც იმერლებს. ზოგი მივარდნილი კუთხე ქართლ-კახეთისა-კი სულ მოკლებულია სკოლას, მაგალითად: ჯავახეთი, ახალციხის მხარე, ფშავეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ბორჩალოს მაზრა და სხვები. ახალციხის მხარეში და ჯავახეთში არა იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ ერთს საზოგადოებას, რომელიც შესდგება ათი-თორმეტი სოფლისაგან (ერთი საზოგადოება ჯავახეთში შესდგება ოცდა ოთხი სოფლისაგან), [illegible] ერთი ერთ-კლასიანი სკოლა. მთელს

ჯავახეთში მხოლოდ ორი ორ-კლასიანი სკოლაა. მთელს საზოგადოებაში ბავშვთა რიცხვი 7-დან ათს წლამდის, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, იქნება ოთხასიდან ათასამდის; ამათში სკოლაში სწავლობს მხოლოდ ორმოცი ან სამოცი, ისიც ზამთარში; ზოგ ადგილას ერთიც არ სწავლობს.

და 90% მოზარდ თაობისა რჩება სკოლის გარეშე. რა გავლენა უნდა იქონიოს ხალხის გონებრივ-განვითარებაზე ასეთას გომეთპატური დონით მოწოდებულმა სწავლა-განათლებამ? რასაკვირველია, არავითარი. სწავლის საქმის ასეთი ცუდად დაყენებით აიხსნება ის კარ-ჩაკეტილობა, უთავლს საზოგადო საქმეში ჩამორჩენა, სოფლის მოხელეების მიერ სოფლის ძარცვა-გლეჯა, რომელიც სუფევს ასეთს მიყრუებულს კუთხეებში და, იმედია, კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება, მანამდის, სანამდის სკოლა არ შეაგნებინებს სოფელს მისს ნამდვილს მდგომარეობას, არ გააცნობს მისს მტერსა და მოყვარეს, არ ასწავლის ამ ბეჩავის მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას. რომ ხალხს ასეთ მივარდნილს კუთხეებშიაც შეგნებული აქვს სწავლის საჭიროება, ეს იქიდან სჩანს, რომ ბავშვების მიღების დროს ხუთჯერ მეტი მსურველი მიდის, ვინემ მიღება შეიძლება; უმეტესობა ისევ შინა ბრუნდება უადგილობისა გამო. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ სახალხო სკოლათა რიცხვის სიმცირის მიზეზი ხალხის მიერ სწავლის დაუფასებლობა-კი არაა, არამედ ის, რომ ამას არა ჰყავს ისეთი ვინმე, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს, მოუყაროს იმათ თავი და იმათივე საშუალებით სკოლა აუშენოს; მათ შორის არ არის საზოგადო მოღვაწე. აი სად არის დახმარება საჭირო! აი სად შეუძლიათ სწავლის გამავრცელებელთ ნამდვილი სამსახური გაუწიონ ხალხს. იქ, სადაც ხალხი თვითონვე იხსნის სკოლებს, თავისს თავს თვითონ პატრონობს, კერძო დახმარება საჭირო არ არის, დახმარება იქ არის საჭირო, სადაც მატერიალური სისუსტე და გონებრივი სიბნელე არსებობს.

ამ ორიოდე სიტყვით ჩვენ გვინდა „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას. ის ხსნის სკოლებსა და ბიბლიოთეკებს უმეტესად დასავლეთს საქართველოში და ნაკლებად აღმოსავლეთში, უფრო ქალაქებში, ერთი სიტყვით, იქ, სადაც ხალხი გონებრივად და ქონებრივად უფრო ძლიერია. სოფელი კი, მიყრუებული სოფლის ბედი, სულ დავიწყებაა. ამ შემთხვევაში, მისი მოღვაწეობა უმნიშვნელოა, რადგანაც ეს საზოგადოება რომ არ უთვალოდეს, ასეთ ადგილებში, ე. ი. ქალაქებში, ხალხი თვითონაც გაიხსნიდა თავისთვის სკოლას. ის იქ უნდა უწევდეს სწავლა-განათლებას ხელმძღვანელობას, სადაც ხალხი ისე შეუგნებელია, რომ თუ ის ღვთის ანაბარად დარჩა მიტოვებული, ათსა და თოთხმეტს წლიწადს ვერ დააყენებს სწავლა-განათლების საქმეს ისეთს დონეზე, როგორც ამას შეგნებულ მოღვაწეთა წრე მოაგვარებს ხუთს წელიწადში. აი, ასეთს ბნელს კუთხეებში უნდა დაანთოს მან სწავლის ლამპარი, ააშენოს სკოლები და სამკითხველოები, გაუღვიძოს ადგილობრივს მცხოვრებლებს სწავლის სურვილი, გამოარკვიოს სიცუდის ძილისაგან და გამოაღებინოს შეძლებისა და გვარი წვლილი ამ კეთილი საქმის მოსაგვარებლად. ასეთი ბიჯი კიდეც გადადგა წერა კითხვის საზოგადოებამ ბორჩალოს მაზრაში სკოლის დაარსებით. იმედია, სხვა მიყრუებულს კუთხეებსაც არ დასტოვებს ყურადღებოდ პატივცემული საზოგადოება, რითაც ის შეასრულებს თავისს უმთავრესს დანიშნულებას.

ინი კანი

რუსეთის ქრონიკა

◆ უმაღლესად დამტკიცებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ ძალაში დარჩეს 1095 წლის 4 ენკენისთვემდის გაძლიერებულ დაცვის წესები რუსეთის შემდეგ ადგილებში: „პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, ეკატერინოსლავის, კიევის, პოდოლსკის და ვოლინის გუბერნიებში; დონის როსტოვსა, ნახიჩევანსა და ტაგანროგში, სოფელ კასპეროვკაში, დონის ჯარის ოლქის სტანიცა გნილოვსკაიასა და პასტუხოვის რკინის ქარხანაში; ხერსონის გუბერნიის—ქ. ელისავეტგრადსა, ბოგოიავლენსკსა, კალინოვკასა და ვოსკრესენსკში, დაბა ვარვაროვკასა და კრივოი როგში, კრივოროგის მღვიმე-მადაროებსა და ქარხნებში; ვლადიმირის გუბერნიის—პოკროვსკისა და შუისკის მაზრებში და ქ. ივანოვო-ვოზნესენსკში, ქ. ტფილისსა, ბათუმსა და ბაქოში (მაზრით); პეტერბურგსა, ოდესსას, ნიკოლაევსა და კრონშტადტში; განჯის გუბერნიის ქ. ნუხასა და შუშაში; ქ. ყარსსა, ალექსანდროპოლსა, ვიტებსკსა და დვინსკში.

გამოცხადებულ იქნა გაძლიერებულ დაცვის წესები, რომელნიც უნდა შემოღებულ იქნან 1904 წლის 1 ივლისიდან 10 ენკენისთვემდე, ნიჟგოროდის გუბერნიის ბალახნინის, სემიონოვის და გორბატოვის მაზრებში.

◆ გაზ. „ბესსარ." ოფიციალურ წყაროებიდან შეუტყვია, კიშინევის მაზრაში ისე გაძლიერებულა შიმშილობა, რომ მთელი ოჯახები დადიან გზა-და-გზა და მოწყალებას თხოულობენ. მახლობელ მაზრების მცხოვრებლებიც მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაუყენებია მოუსავლობას.

◆ კავკასიის სტავროპოლიდან იუწყებიან, რომ იუსტიციის მინისტრის იქ ჩამოსვლას კავშირი აქვს საკითხის განხილვასთან სტავროპოლის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.

◆ 24 აგვისტოს გაიხსნა პეტერბურგში სატარიფო კრება რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა.

◆ პეტერბურგის თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოებაში შემდგარია განსაკუთრებული კომისია, პროფ. ხოდსკის თავმჯდომარეობით, შინაგან სამინისტროში შემუშავებულ საგლეხო კანონმდებლობის რეფორმის პროექტის განსახილველად. კომისია შემოდგომაზე შეუდგება მუშაობას. მონაწილეობას იღებენ პროფესორები: ჩუპროვი, გესსენი, დენი და სხვ.

◆ პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ცნობილი ხმოსანი კედრინი შვეციაში წავიდა იმის შესასწავლად, თუ რანაირად სარგებლობენ შვეციის მცხოვრებლები ჩანჩქერებით ტეხნიკურ სამუშაოებისათვის. განზრახვა აქვთ პატარა იმატრას ჩანჩქერი გამოიყენონ პეტერბურგის საჭიროებისათვის.

◆ ამ დღეებში დასრულდა პეტერბურგში სხდომები რკინის გზის საბჭოსი, რომელმაც განიხილა რუსეთის რკინის გზებზე არსებული წესები საქონლის გადატანის შესახებ. საბჭომ შეიმუშავა სხვა-და-სხვა ზომები იმის შესახებ, რომ საქონლის გამგზავნელთ დანიშნულზე მეტი ფული არ გადაახდევინონ. დაწესებულ იქნას კანტროლი საქონლის დროზე ჩაბარებისა და გაძლიერებულ იქნას რკინის გზების საქონლის სადგურებზე მუშაობა. ამის დაკვალად უნდა განწესრიგებულ იქნას საქონლის სადგურებზე მოსამსახურეთა მუშაობა. საბჭოს მიერ შემუშავებული წესები საკანონმდებლო წესით იქნება შემოღებული.

◆ სტავროპოლის ოლქის სასამართლოს ამ ბოლო დროს ერთი საყურადღებო საქმე განუხილავს. ბრალი ედებოდა სოფ. სევერსკოიეს მამასახლისს სტარჩენკოვს, რომ მან თავის ნაცნობის ნოვიკოვის საშუალებით ქრთამი გამოართვა გლეხ ბატიშჩევს. ბატიშჩევს რამდენიმე წყვილი ჩექმა ჩამოუტანია ბაზარში გასასყიდად. ბაზარში ნოვიკოვი დახვედრია, ერთი წყვილი ჩექმა უყიდნია მისგან, შემდეგ მამასახლისთან ო[illegible] სავაჭრო მოწმობა არ აქვს [illegible] ადეგითო. მამასახლისი მეორე ოთახში გასულა და ნოვიკოვს უთქვამს ბატიშჩევისათვის: „ფული თუ მომცემ, გაგანთავისუფლებო". ბატიშჩევს ამაზე უპასუხნია: „შენ რომ მოგცე, მამასახლისს რაღა ვუყო, იმანაც რომ მომთხოვოს ფული?" „მამასახლისის დარდი ნუ გაქვს, იმას მე გავუსწორდებიო"—უთქვამს ნოვიკოვს. ამნაირად ქრთამი გამოუტყუებიათ გლეხისათვის და გაუნთავისუფლებიათ.

სასამართლომ ერთი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა ნოვიკოვს, მამასახლისი კი გაამართლა.

◆ კიევის უმთავრესს ქუჩაზე, კრეშჩატიკზე, ამას წინად შემდეგი უბედური შემთხვევა მოხდა: ვიღაც უცნობმა კაცმა, რომელიც ეტლით მიდიოდა, უეცრად რევოლვერი ამოიღო ჯიბიდან და რამდენჯერმე ისროლა თავში, დაიჭრა და ეტლიდან გადმოვარდა. ქუჩაში გამვლელთ იყვირეს: „წაართვით, წაართვით რევოლვერიო!" იქვე ახლოს მაღაზიიდან ერთი სტუდენტი გამოვარდა, გვარად ტერ-ავეტისოვი, და გაიქცა დაჭრილისაკენ რევოლვერის წასართმევად. დაჭრილს რევოლვერი გავარდნოდა ხელიდან, და ფორთხვით მიდიოდა იმ ადგილისაკენ, სადაც რევოლვერი ეგდო; უნდოდა ისევ აეღო რევოლვერი და საბოლოოდ გამოჰსალმებოდა წუთისოფელს. სტუდენტმა ტერ-ავეტისოვმა ხელი სტაცა საბრალო კაცს; ამ დროს უეცრად გავარდა რევოლვერი და სტუდენტი ხელში დაიჭრა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, როცა უცნობი კაცი თავისთავს ესროდა, ერთი ტყვია გენერალ-მაიორ პოპრუჟენკოს მოჰხვდა, რომელიც იქვე ახლოს მოდიოდა ეტლით, და მსუბუქად დაჰკრა. სტუდენტ ტერ-ავეტისოვს მარჯვენა ხელზე ორი თითი მოსტეხა ტყვიამ. თავის მოკვლის მსურველი გვარად უშაკოვია. იგი მძიმედაა დაჭრილი თავში. ჯერ-ჯერობით არ იციან, რა მიზეზების გამო განუზრახავს უშაკოვს თავის მოკვლა.

წერილები

ჭალადიდი 23 აგვისტოს ჭალადიდის სადგურის ახლო ცეცხლი გაუჩნდა ალექსანდრე საბახტარაშვილის კანტორას და სამი საათის განმავლობაში სრულიად გადაიწვა. ცეცხლი გადავიდა აგრეთვე იქვე, მახლობლად დიმიტრი ხაჯალიას დუქანზე და როგორც შენობა, ისევე ყოველივე ავლადიდება დაეწვა. საცოდავ მედუქნეს აღარა გადარჩენია-რა და, ისედაც ღარიბ-ღატაკი, ღვთის ანაბარად დარჩა.

სოფელ ხორგაში ორ გლეხს ორ-ორი ფუთი სიმინდის ფქვილი მიჰქონდათ სახლისაკენ. გზაზე დაუხვდათ ოთხი კაცი და ჯერ ნებაყოფლობით მოსთხოვეს, რომ ორი ფუთი ფქვილი მიეცათ იმათთვის, მაგრამ, რადგან ცივი უარი მიიღეს, ისე გამწარდნენ თურმე, რომ ჩხუბი ასტეხეს და ერთი ფქვილის პატრონი დასჭრეს, ფქვილი მოიტაცეს და გზას გაუდგნენ. ასე გამწარებულია ხალხი შიმშილით, არა გაჩნია-რა და არც პატრონი ვინმე ჰყავს.

ახმეტა (კახეთი). 17 აგვისტოს სოფ. ახმეტასა და მატანს შუა ადგილობრივმა მომრიგებელმა-შუამავალმა თავ. ჯორჯაძემ გამართა გამოცდა გაუმჯობესებულ გუთნებისა, რადგან თიანეთის მაზრის მცხოვრებლები დღემდის მამა-პაპურის გუთნებითა ხნავენ. გამოცდას დაესწრო ადგილობრივი ადმინისტრაცია, მემამულეები და მრავალი გლეხ-კაცობა. თუმცა ამ გუთნების შეძენის სურვილი ცოტამ გამოაცხადა და დამსწრე საზოგადოებამ, მიუხედავად დიდის განსხვავებისა ძველსა და გაუმჯობესებულ გუთნების შორის, მაინც მეტი უპირატესობა თავის შინაურ გუთნებს მისცა, მაგრამ ამისთანა მოვლენა ხდებოდა სხვა მაზრებშიაც, სადაც დღეს მარტო გაუმჯობესებულ გუთნებითა სარგებლობენ. ამავე მომრიგებელ-შუამავლის მეოხებით ახმეტაში ამ ზაფხულს გაიხსნა განყოფილება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საწყობისა, სადაც იყიდებოდა ვაზის წამლები და სხვა და სხვა მანქანები. თუმცა წამლები და მანქანები იყიდებოდა ნაღდ ფულზე, განყოფილება მუშაობდა კარგად და დიდი შემწეობაც გაუწია საზოგადოებას, რომელიც აქამდის ყველაფერს იძენდა ადგილობრივ ვაჭრებისაგან ძალიან დიდ ფასებში და მასთან ცუდის ღირსების წამლებს და მანქანებს.

ახმეტელი.

ხარაგაული (ზემო-იმერეთი). ხარაგაულსა და მახლობელ სოფლების მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ჩააყენა უდროვო-დროს ჭირნახულის შემოკლებამ. ყველას, გამოუკლებლად, პირველ აპრილიდან გაუხდა სიმინდი სასყიდელი. ნახევარს გროში არ მოეპოვებოდა და არც დღეს აქვთ დღიური საზრდოს შესაძენად. ქურდობა და თავ-დასხმა ძლიერ გავრცელდა. 19 აგვისტოს, ღამე, სოფელ ღარიხებს ექვსი კაცი შეუვარდა სახლში მოხუც ცოლ-ქმარს დეკანოსიძეებს. მოჰკლეს დაავადმყოფებული ქალი. წაღებით არაფერი წაუღიათ. ორი ბოროტ-მოქმედი უკვე შეიპყრეს, დანარჩენებს დაეძებენ. სამკითხველოს საქმე ძველებურად მიდონდილობს. შეგნებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა როგორც გადამდებ სენს, ისე გაურბის მას. რამდენადაც გვახსოვს, უკანასკნელ კრებაზე სამკითხველოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გადასწყვიტეს ამ ზაფხულს წარმოდგენების გამართვა. მაგრამ, წარმოდგენები ვერ გამართა. მიმდინარე წელს ორჯელ მოხდა სამკითხველოს წევრთა კრება, მაგრამ, წევრების გამოუცხადებლობის გამო, არც ერთხელ არ შესდგა.

ს. გრიგოლიშვილი

ს. სვირი (იმერეთი). კიდევ ვიტყვი, ჯერ არ ახსოვს არც ერთ მოხუცს, რომ ამნაირ გაჭირვებაში ყოფილიყოს კაცი სიმინდის უქონლობით, როგორშიაც აქაურნი არიან. ფასი ხომ უზომო დადეს, მაგრამ ამ ფასებს ვიღა ჩივა, რომ სიმინდი მაინც იშოვებოდეს. ამოდენა სოფლებმა აქანობამდის ირჩინეს თავი ს. უხუთისა, ბაგინეთისა და იქვე მახლობელ სოფლების სიმინდით. დიდი სიმინდი გადმოზიდეს ბაღდადში. წელს რომ ამ სოფლებში სიმინდი არა ყოფილიყო, საქმე გაჭირდებოდა. დღემდის იქმარა და დღეს, როგორც ამბობენ, სიმინდი გამოილეულა, თუმცა ცოტ-ცოტა კიდევ გადმოაქვთ ბაღდადში, მაგრამ ბათმანს (8 ოყა) თვრამეტ შაურს ფეხს არ უცვლიან. ზემოდ აღნიშნულ სოფლებში საზოგადოდ სიმინდის მოსავალი კარგი იცის და იქაურები მუყაითადაც მუშაობენ. ბევრისაგან გამიგონია: „კაცო, ჩვენ მევენახეობას ხელი შევუწყოთ, მეტი ნაწილი ვენახი ვიმუშავოთ და თუ სიმინდი შემოგვაკლდება, რა გვიჭირს, ერთი საპალნე ღვინის ფასით (როდესაც 40 მან. იყიდებოდა) ას ბათმან სიმინდს ვიყიდითო". მართლაც მეტი ნაწილი ჩვენი სოფლები იყო მათი მუშტარი და არც ფასი იწევდა, რადგან ქვემოდ, გურიას და სამეგრელოს, მათი სიმინდი არ ესაჭიროებოდათ, როდესაც თითონ საზღვარ-გარედ ჰგზავნიდნენ სიმინდს. სამწუხაროდ, დღეს ბედი უკუღმა დატრიალდა. ვის გაგიგონია, რომ გურული კაცი სიმინდის სასყიდლად ზემოთ წამოსულიყოს? მთელი ნახევარი გურია, როგორც ამბობენ, ზემო აღნიშნულ სოფლების მცხოვრებნი, მოსდებიან ამ სოფლებს და ნახევარზე მეტი სიმინდი მათ გაუზიდავთ. ამ დიდ მოთხოვნილებისა გამო ფასმა უზომოდ აიწია. წინად ერთ საპალნე ღვინის ფასით ას ბათმან სიმინდის ყიდვას ვაპირებდით, მაგრამ დღეს საპალნე ღვინის ფასით თხუთმეტ ბათმანსაც ველარ ვყიდულობთ.

იუსტინე.

ოზურგეთი. უკვე მოგეხსენებათ, რომ სიმინდის ფასმა ძალიან აიწია აქეთ. ფუთი სიმინდი იყიდება 1 მან. 20 კაპ. და ამ ფასშიაც ვერ შოულობენ. ოზურგეთის ახლო-მახლო ისეთ ოჯახს იშვიათად შეჰხვდებით, რომ საზრდოდ პურს არ ყიდულობდეს. მეპურეებმა იშოვეს დრო და ფასს მოუმატეს. თუ ნიხრზე დაუწყეთ ლაპარაკი, ასე გიპასუხებენ: „მეტი არა მაქვს და თუ გსურს, ასე წაიღეო". ამის მიზეზათ საქონლის მოსატან ბაჟის მომატებას ასახელებენ. დღემდე ნატანებიდან ოზურგეთამდე ფუთის მოტანა ღირდა 4 კ., დღეს კი 10 კ. ღირს (18 ვერსია). ფუთზე მოუმატა 6 კ. და მეპურეები-კი გირვანქაზე უმატებენ 2 კაპეიკს. ქალაქის მამები სდუმან და ხმას არ იღებენ. სანიტარები ჩვენშიაც ამოარჩიეს, მაგრამ ქალაქის გასუფთავებას დღემდე არა ეშველა-რა.

ი. ქრისტინეშვილი.

ჩოხატაური (გურია). სიმინდის სიძვირემ და მასთან აუტანელმა სიცხეებმა ძლიერ დაალონა აქაური მცხოვრებნი. სიმინდი 1 მან. 20 კაპ.-დან—1 მ. 30 კაპეიკამდე ადის, მაგრამ გასასყიდმაც იკლო, მოთხოვნილება კი თან და თან მატულობს. აქაურ მცხოვრებთ უბალახობისა გამო საქონელი გაგზავნილი ჰყავდათ მახლობელ მთაზე, სურებში, სადაც ჭირი გაჩნდა და დიდი ზარალი მისცა სოფელს. თუმცა ბეითალი მიიწვიეს, მაგრამ ვერაფერი საშუალება ვერ აღმოუჩინა. ჩვენმა ღარიბმა სამკითხველომ კაი ხანია თქვენი ჭირი წაიღო, მაგრამ ხელ-ახლა გახსნისათვის არავინ თავს არ იწუხებს.

ჭმალლებისელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აგვისტო

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს, 29 აგვისტოს: „გამორკვეულია, რომ იანტაის მღვიმე-მადაროებისაკენ მიმავალ რკინის გზის შტოს ჩრდილოეთით იაპონელთა დიდი ჯარი არა დგას. უფრო შორს, სამხრეთისაკენ, ლიაოიანის მხარეზე იაპონელთა ბევრი და დიდი ბანაკებია.

ხარბინი, 29 აგვისტო (საკუთარი კორესპონდენტი). ყოველ დღე მოდიან სამხრეთიდან მატარებლები დაჭრილებით. განუწყვეტლივ წესიერად ჰგზავნიან დაჭრილებს შორეულ ადგილებში. საზოგადოდ, დაჭრილები, მძიმედ დაჭრილებიც, მხნედ არიან. ბევრ მათგანს, როცა მოკეთდებიან, ჯარში დაბრუნება უნდათ.—ბრძოლის ველიდან ახალი ცნობები არ მოსულა. აშკარაა, რომ ორივე არმია შემოიკრებს ჯარებს ბრძოლის ველის შეცვლილ პირობათა თანახმად. ბოლოს დროს დამამშვიდებელი ამბებია მიღებული პორტ არტურიდან.

ტოკიო, 29 აგვისტო. („რეიტ. სააგენტო"). ოიამა იუწყება, რომ კუროკიმ 22 და 23 აგვისტოს გამოილაშქრა ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ და აიძულა რუსები მუკდენისაკენ დაწეულიყვნენ. კუროკი იუწყება, რომ ბრძოლის დასრულებამდის 23 აგვისტომდის, რუსებმა გაჰგზავნეს მუკდენს 10 ათასი დაჭრილი და წაიღეს მოკლულთა გვამების უმეტესი ნაწილი. ლიაოიანთან-კი რუსებმა 3 ათასი გვამი დასტოვეს. უკან დაწევის დროს რუსებმა მოახერხეს ზარბაზნების და სურსათის წაღება. სანგრებში რამდენიმე პოვოზკა იპოვნეს. იაპონელთა ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული, ერთობ დიდი-კი არის. 22 აგვისტოს 10 საათზე კუროკის ჯარის შუა-გულის რაზმმა იერიში მიიტანა რუსების ძლიერ რაზმზე დალინკოუსთან, იანტაის აღმოსავლეთით. გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ღამე მოხდა, იაპონელებმა აიძულეს რუსები დაწეულიყვნენ ჩრდილოეთისაკენ. იაპონელთა მემარჯვენე რაზმი დასავლეთისკენ გაემართა და დაიჭირა ადგილები შილიხეს ჩრდილოეთ-დასავლეთით შანსიაძემდის. რუსების მოწი-

ნავე ჯარს უჭირავს სანგრებით გამაგრებული ადგილები მთების გაყოლებაზე, ტანსიაგოის აღმოსავლეთით. რუსების რაზმი, რომლის რაოდენობა არ იციან, ბისიაძისკენ მიდის.

კანლიუზაო. 22 არტილერია ყუმბარებს უშენდა რუსებს, როცა ისინი უკან იწევდნენ, ამ დროს კი მემარჯვენე რაზმმა გამოილაშქრა ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, ვარმინძუშანის მხარეს, მუკდენის სამხრეთით, 25 მილის მანძილზე. რუსებმა მუკდენისკენ დაიწიეს, ზურგის ჯარად კავალერია ჰყავდათ და მდინარე შახეზე ხიდები დასწვეს. იაპონიის არმიის მთავარ-სადგური იუწყება, რომ იაპონელებმა დაიჭირეს იანტაის ქვანახშირის მღვიმე-მაღაროები. იაპონელთა მოხსენებაში დაწვრილებით არის აწერილი, როგორ იყო დაწყობილი რუსის არმია ლიაოიანში. ლონდონში მყოფი იაპონიის მისსია ამოწმებს „რეიტ. სააგ“-ს დეპეშას იაპონელთა ზარალის შესახებ.

ტიანძინი, 29 აგვისტო. („რეიტ. სააგენტო“). ხმებია, რომ მანჯურიაში, დიდ ზღუდეს იქით, ჩინეთის ჯარი მიდის და ჩინეთის პოლკებს ამ ჟამად უკვე უჭირავთ ლიაოხეს ორივე ნაპირი. ირწმუნებიან, ეს ჯარი იმისთვისაა დანიშნული, რომ იაპონელთა მიერ დაპყრობილი ადგილები დაიჭიროსო. გერმანელი აფიცრები სცდილობენ გამოარკვიონ, თუ რამდენად მართალია ეს ხმები. როგორც სჩანს, ჩინეთის ჯარი ხმელეთით მიდის, მთებს იქით, და არა ჩვენის გზით. ამ ჯარის რაოდენობის გამორკვევა არ შეიძლება.

ლონდონი, 30 აგვისტო. („რეიტ. სააგენტო“). იაპონიის მემარცხნე არმიასთან მყოფ „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება 26 აგვისტოს, რომ იაპონელებს განუზრახავთ 3 კვირის შემდეგ მუკდენის აღება და უკვე გზაში არიან, მთებზე მიდიან, ვიწრო-ლიანდაგიანი დროებითი რკინის გზით. ოიამამ ბრძანება გაუგზავნა კუროკის შემოუერთდეს ბანაკს, რომელიც გამართულია ამ ჟამად ლიაოიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, 5 მილის მანძილზე. იმის გამო, რომ კუროკიმ მთიან ადგილებიდან გამოსვლა და რკინის გზის დაჭერა ვერ მოახერხა, კუროპატკინს შეძლება მიეცა უკან დაწეულიყო. 24 საათის განმავლობაში ორის მხრივ მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო. მხოლოდ ოკუს არმიის ჩინებულმა იერიშებმა გადაარჩინეს იაპონელები. ზედი-ზედ ჰქონდათ იერიში, რათა კუროკის მთელი არმია გადაერჩინათ. რუსები მათ დღევანდელ ორგანიზაციით ვერ გაუმაგრდებიან იაპონელებს ვერც მთებში და ვერც ბარში. ბოლოს ოკუს, ნოძუს და კუროკის არმიები შეერთდნენ, რათა დასავლეთიდან მუკდენის შემოვლა სცადონ. ამ წლის სამხედრო მოქმედება მანჯურიაში მუკდენის აღებით დასრულდება.

ლონდონი, 30 აგვისტო. („რეიტ. სააგენტო“). „დეილი მეილ“-ი იუწყება ტანჟედან, რომ გუშინ სპარტელის კონცხის პირდაპირ რუსის კრეისერი დაინახეს. „დეილი ტელეგრაფ“-ი სასტიკად ჰკიცხავს იაპონიის მოხელეთა ქცევას უცხოელ აგენტებისა და კორესპონდენტების მიმართ და ამბობს, იაპონელებმა დიდი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინესო. რაც შეეხება ინგლისის წარმომადგენლებს, იაპონიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ მხოლოდ მოკავშირე ინგლისის ძლიერმა ფლოტმა დაუშალა შეთანხმებულ სახელმწიფოთ ზღვაზე იაპონიის ბრძანებლობის მოსპობა. ჩრდილოეთის სახელმწიფოები მეტ ნდობას იჩენენ და ამიტომ იაპონელები ხელს არ უწყობენ იმათ გულწრფელ სიმპატიისაო. „დეილი ტელეგრაფ“-ი მსჯელობს იაპონელთა სტრატეგიის შესახებ და ამბობს, ლიაოიანის ბრძოლას სულაც არ მოუსპია საბოლოოდ რუსეთის ძლიერებაო.

28 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და უმაღლესად ბრძანა, სტარორუსის ფერისცვალების მონასტრის არხიმანდრიტი ალექსი დაინიშნოს ველიკო-უსტიუგის ეპისკოპოსად, ვოლოგდის ეპარქიის ვიკარიად.—$2^1/_2$ საათზე საადმირალოში საძირკველი ჩაყარეს საკანონო ნავის „ხივინეც“-ისა და ჩაუშვეს წყალში ნაღმიანი კრეისერი „ვოლგა“ გენერალ-ადმირალის თანადასწრებით.

ბერნი. დასრულდა გამოძიება ილნიცკის შესახებ, რომელმაც რუსის ელჩის ყაოვსკის მოკვლა მოიწადინა. დოკუმენტები მალე გადაეცემა შვეიცარიის სასამართლოს მოხელეთ.

ფილიპპოპოლი. სარწმუნო წყაროებიდან სტამბოლში ცნობაა მიღებული, რომ სერიოზული უწესოება მოახდინეს ვანის, ბითლისის და ერზერუმის ვილაეტებში სომეხ-მეამბოხეთა ბრბოებმაო. კონსულები ურჩევენ, ენერგიულის ზომებით დაამშვიდონ ხალხი, ხოლო ძალმომრეობას მოერიდნენ.—ბოლგარიის სამხედრო მინისტრმა მიიწვია სოფიაში მყოფი ყველა სამხედრო აგენტი დიდ მანევრებზე, რომელიც მოხდება 10 ოქტომბერს პოპოვის ოლქში, რაზგრადის ახლოს, თვით მთავრის ხელმძღვანელობით.

ხარკოვი. საქონლის გადატანას გამწესრიგებელმა ბიურომ შემდეგი წესი შემოიღო პურის დატვირთვის შესახებ: დღეში 500 ვაგონი ნიკოლაევში გასაგზავნად და 380 ვაგონი—ალექსანდროვსკში გასაგზავნად. ხარკოვ-ნიკოლაევისა და კურსკ-სევასტოპოლის რკინის გზებზე ზომები მიიღეს, რომ პური აღარ ჩერდებოდეს სადგურებზე.

მინსკი. დნეპრის მიდამოების ტყის მწარმოებლებმა სამეურნეო საზოგადოებებთან ერთად შუამდგომლობა აღძრეს, რათა მომატებულ იქნას ბაჟი ავსტრ-რუმინიის დაუმუშავებელ ხე-ტყის მასალაზე.

ლხასსა. ხელშეკრულების მოწერის შემდეგ, პოლკოვნიკმა იონგჰეზბანდმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: ინგლისის მთავრობა არ ჩაერევა ტიბეტის სარწმუნოებისა და საშინაო საქმეებში; მთავრობას სურს მხოლოდ დააწესოს სავაჭრო ურთი-ერთობა და ისე მოაწყოს საქმე, რომ ტიბეტელები პატივით ეპყრობოდნენ ინგლისის წარმომადგენლებს და ქვეშევრდომებს. იმედი მაქვს, რომ ხანგრძლივი მშვიდობიანობა ჩამოვარდება, მაგრამ ხელშეკრულების დარღვევას-კი სასტიკი სასჯელი მოჰყვებაო. შემდეგ იონგჰეზბანდმა აცნობა ტყვეების განთავისუფლების ამბავი.

ლონდონი. რამდენადაც გამოირკვა, ინგლისელებს ტიბეტისთვის შემდეგი პირობები დაუდვიათ: იმ ხარჯის გასტუმრება, რაც ექსპედიციას დასჭირდა, დაკმაყოფილება ინგლისის წარმომადგენელთა შეურაცხებისა და იარაღით წინააღმდეგობის გაწევისათვის, ვაჭრობის გაადვილება ტიბეტსა და ინდოეთს შორის და ტიბეტის ტერიტორიაზე ინგლისის მოსაზღვრე ბოძების დადგმა.

ლონდონი. ლხასიდან დეპეშით იუწყებიან, რომ დალაი-ლამა, როგორც ეტყობა, არ დაბრუნდებაო. მართვა-გამგეობა გადაეცემა რეგენტს, ხოლო შიგძელ ტაშინლამას უთუოდ უმაღლეს სასულიერო პირად აღიარებენ. ინგლისის ექსპედიცია უკან გამოემართება 3 ოქტომბერს. ზავის დადების გამო ინგლისის პოლიტიკური წრეები გახარებულნი არიან. ჰფიქრობენ, რომ ეხლა ინგლისი ფაქტიურ პროტექტორატს დააწესებს ტიბეტში.

პეტერბურგი. 29 აგვისტოს გულის გაგანიერებისაგან გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი გენერალ-ადიუტანტი კრემერი.

30 აგვისტო

პეტერბურგი. 29 აგვისტოს საზღვარ-გარედ წავიდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

სტამბოლი, 29 აგვისტო. სმირნაში ორი კაცი აღმოჩნდა შავი-ჭირით ავად. ამის გამო საქონელს, იქიდან გაგზავნილს, ექიმები გასინჯავენ და დეზინფექციას უზამენ.

რომი, 29 აგვისტო. ჩემულპოში მყოფ იტალიის სამხედრო გემს „მარკო პოლო“-ზე ყუმბარა აფეთქდა. გემისაგან სამი კაცი მოიწამლა და სამივე გარდაიცვალა. 17 სხვა კაცი, მცირედ მოწამლული, რჩება.

კარკარალი, 28 აგვისტო. ქალაქს ცეცხლი გაუჩნდა. ქარი უბერავდა და გადაიწვა ქალაქის მესამედზე მეტი. ზარალი დიდია.

მოსკოვი. მასწავლებელთა შორის ლაპარაკია ინვალიდ-პედაგოგთათვის საზოგადო საცხოვრებლის დაარსების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოცხადებანი

ქ. თელავში რუსის ოჯახი იყვანს ორ ბავშს გიმნაზიისა, ანუ კადეტთა კორპუსისთვის მოსამზადებლად. ადრესი: იკითხეთ ქ. თელავის ხაზინაში ბ-ნ სერებრიაკოვთან. (3—288—2)

შემთხვევით იყიდება ნომრები „მეტროპოლი“, გოლოვინის პროსპექტზე. მოლაპარაკება იქვე. (4—289—2)

გამოვიდა გასასყიდად ახლად დაბეჭდილი

სრული გეოგრაფია საქართველოსი

ბატონიშვილის ვახუშტისა,

ავტორის სურათით, საქართველოს რუკით (ქარტით) და მრავალის ახალის შენიშვნებით მ. გ. ჯანაშვილისა, გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა“.

ღვაწლი ბატონიშვილის ვახუშტისა საქართველოს გეოგრაფიის შედგენით—დაუფასებელია. მისი გეოგრაფია იყო და არის ერთად-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო ჩვენის ქვეყნის გაცნობისათვის. მის ამ შრომას სხვაფრივაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა: თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნახევარი ადგილების სახელები საუკუნოდ დაკარგული იქნებოდა ჩვენთვის და მეცნიერებისათვის, რომ ღვაწლ-მოსილ ვახუშტს ეს წიგნი არ დაეტოვებია. ვახუშტის გეოგრაფია ძვირფასი შეძენაა ყოველის ქართველისათვის იმითაც, რომ მასში იგი იპოვნის თავისი მხრის ბევრი ისეთი სოფლების, ქალაქების, ნაშთების და ადგილების აღწერას, რომლების არსებობას არც კი მოელოდა.

ჩვენ-მიერ დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა შეიცავს 500 გვერდამდის და ღირს გაგზავნით მხოლოდ 2 მანეთი.

გამწერმა ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით-

Въ Тифлисъ, редакція „Могзаури“, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—211—7)

ექიმის შაინდლერ-ბარნაის

„მარიენბადის რედუქციური აბები“

სიმსუქნის წინააღმდეგ

და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება

თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.

✦ **კოლოფები წითელ ფერისაა** ✦

დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—7)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრები

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილით და 5—12 ს. საღ. (88—52—48)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში სკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი $(^1/_{20})$ უწურწლოდ.

კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი ($^1/_2$ ვედრისა), ბურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ბურჭლებში ჩასხმული. (50—35—42)

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს **1860** წელს



რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხში ფაბრიკის ნიშანი).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტში. და ტფილისს

(60—20)

Дозв. цензурою 30 августа 1904 г. Электроп. „Груз. Изд. Т-ва.“